ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სირთულეები საქართველოში

ბაჩუკი ხეცაძე

ალექსანდრე მიქაბერიძე

ჯგუფი N18

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე საბანკო და საფინანსო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე კუჭავა, ეკონომიკის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება ერთნაირად გასაგები და აღსაქმელია უცხოელი თუ ადგილობრივი დაინტერესებული ინვესტორისთვის.

კომპანიები, განსაკუთრებით ისინი რომლებიც მოღვაწეობენ განვითარებად ქვეყნებში, შებოჭილნი არიან რესურსებში, მათთვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა შემდგომი გაფართოებისთვის, ამაში კი მათ სწორედ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად შედგენილი ანგარიშგება დაეხმარება. იმისთვის, რომ ჩვენ შევძლოთ განვავითაროთ კაპიტალის ბაზარი და გავხადოთ ხელმისაწვდომი ფულადი რესურსები მაწარმეებმა საკუთარი აღრიცხვა უნდა აწარმოონ ღიად, გამოაქვეყნონ საკუთარი მაჩვენებლები და მისცენ საშუალება დაინტერესებულ პირებს შეაფასონ მათი კომპანია, რათა მოახდინონ ინვესტირება საკუთარი შეხედულებისამებრ.

კვლევის მიზანია გააცნოს კერძო სექტორს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სირთულეები, მიაწოდოს მათ ინფორმაცია არსებულ სიძნელეებზე და შესთავაზოს მათ გადაჭრის გზები. მოისმინოს მათი პრობლემები და მისცეს კონკრეტული რჩევები.

კვლევის აქტუალურობას განსაზღვრავს საქართველოს კანონში: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესული ცვლილებები, რომლებიც ნაკარნახევია ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების შესაბამისად. იგი ფირმებს ავალდებულებს წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები სხვა ვალდებულებებთან ერთად.

კვლევის მიზნის მისაღწევად შევაგროვეთ და შევისწავლეთ ინტერნეტ რესურსში არსებული მონაცემები. ნაშრომში გამოყენებულია აქამდე ჩატარებული კვლევები, ნაშრომები, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სტატიები. აღნიშნული დაგვეხმარა, გამოგვევლინა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სირთულეები.